

შპს "ბიარ ჯორჯია" (ს/კ 206152688)

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

ბიარ ჯორჯია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2004 წლის 28 ივლისს. კომპანიის იურდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 55. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა იმპორტული ლუდით ვაჭრობა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება/ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა ღირებულების დადგენა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა: 5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები: 10-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო - მატერიალური ფასულობების ასახვა ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისთვის

საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება-ზარალი უწყისში.

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსე ღირებულებიდან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქტივების რეალიზაცა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი განხორციელებისას.

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	4	253222	474343
სავაჭრო მოთხოვნები	5	704084	607910
გადახდილი ავანსები		517341	834149
		1474647	1916402
მარაგები			
სასაქონლო მარაგი	6	2197979	1828951
საივენსტიციო ქონება	7	924577	924577
სხვა მიმდინარე აქტივები	6	179706	26021
არამატერიალური აქტივები		1220	1793
ძირითადი საშუალებები		593508	506366
მთლიანი აქტივები		5,371,637	5,204,110
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	8	379,461	556,398
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	9	39,836	33,627
საგადასახადო ვალდებულება	10	14,641	31,357
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	1,692,885	1,641,393
იჯარის გადასახადი		0	9,000
ვალდებულებები სულ		2,126,823	2,271,775

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		3,070,067	2,795,902
გადაფასების რეზერვი		172,747	134,433
სულ საკუთარი კაპიტალი		3,244,814	2,932,335
სულ კაპიტალი დავალდებულებები		5,371,637	5,204,110

საქმიანობის შედეგები			
	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვებიდან	12	7,337,840	7,057,428
მომსახურების გაწევიდან	12	49,754	28,475
სულ ნეტო ამონაგები		7,387,594	7,085,903
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება			
საწყისი მარაგი		1,828,951	1,744,084
მარაგის შესყიდვა		5,918,108	5,408,696
საბოლოო მარაგი		2,197,979	1,828,951
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		5,549,080	5,323,829
საერთო მოგება		1,838,514	1,762,074

სხვა შემოსავლები	13	174,508	302,003
დასაქმებულთა ანაზღაურება		(611,924)	(594,136)
ცვეთა და ამორტიზაცია		(87,238)	(86,208)
საპროცენტო ხარჯი		(90,945)	(90,956)
იჯარის ხარჯი		(137,175)	(129,262)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(602,017)	(586,275)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,354,791)	(1,184,834)
საოპერაციო მოგება		483,723	577,240
წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციიდან		(80,188)	(54,444)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		403,535	522,796
მოგების გადასახადი		(35,029)	(53,760)
წმინდა მოგება		368,506	469,036
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		368,506	469,036
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		44494	33564
სხვა სრული შემოსავალი		44494	33564
მთლიანი სრული შემოსავალი	15	413,000	502,600

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		2932335	2654663
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		(100521.00)	(1056640.00)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		413,000	502,600
კაპიტალის სხვა ცვლილებები	16		831712
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,244,814.00	2,932,335.00

შენიშვნა: 3

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 10).

	მანქანა- დანადგარები	შენობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატე რიალური აქტივი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	1,082,491	4,877	28,850	55,005	6,818	2,935	1,180,976
შემოსვლა	60,793	27,635	40,165	720			129,313
გადაფასება	38,540		1,954	4,000			44,494
გასვლა	(11,790)		(2,365)	(4,850)			(19,005)
31 დეკემბერი 2019	1,170,034	32,512	68,604	54,875	6,818	2,935	1,335,778
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2018	(616,438)	(1,186)	(19,575)	(25,465)	(5,025)	(278)	(667,967)
პერიოდის ცვეთა	(76,724)	(244)	(4,912)	(4,639)	(573)	(146)	(87,238)
გასვლა	11,790		2,365				14,155
31 დეკემბერი 2019	(681,372)	(1,430)	(22,122)	(30,104)	(5,598)	(424)	(741,050)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2018	466,053	3,691	9,275	29,540	1,793	2,657	513,009
31 დეკემბერი 2019	488,662	31,082	46,482	24,771	1,220	2,511	594,728

კომპანია იყენებს შეფასების თვითღირებულების მეთოდს
ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
--	------	------

ნაღდი ფული სალაროში	153,178	262,283
ფული საბანკო ანგარიშებზე	100,044	212,060
სულ	253,222	474,343

შემოწმება 0 0

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	704,083	607,910
გადახდილი ავანსები	517,340	834,149
სულ	1,221,423	1,442,059

შემოწმება

შენიშვნა 6

მარაგები

	2019	2018
სარეაქტივო ნედლეული და მასალები	2,197,979	1,828,951
დამხმარე მასალა და მცირეფასიანი ინვენტარი	179,706	26,021
სულ	2,377,685	1,854,972

შემოწმება

შენიშვნა 7

საინვესტიციო ქონება

	2019
რეალური ღირებულება 1.01.2019	924,577

მოგება/(ზარალი) რეალური
ღირებულების ცვლილებიდან

რეალური ღირებულება 31.12.2019	924,577
-------------------------------	---------

შემოწმება 0 0

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	379,461	556,398
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	39,836	33,627
იჯარის გადასახადი		9,000
სულ	419,297	599,025

შემოწმება

შენიშვნა 9

საგადასახადო ვალდებულებები

	2019	2018
გადასახდელი მოგების გადასახადი	3,876	7,680
საშემოსავლო გადასახადები	14,977	9,075
დღგ	(26,405)	8,825
ქონების გადასახადი	20,296	5,777
დაგროვებითი პენსიის ფონდი	1,897	
სულ	14,641	31,357

შემოწმება

შენიშვნა 10

სესხები

	2019	2018
გრძელვადიანი საბანკო სესხები	1,692,885	1,641,393
სულ სესხები	1,692,885	1,641,393

შემოწმება 0 0

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2021 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4.8 %. საწარმოს დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად რომელთა ღირებულება აღემატება 100 000 ლარს. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 11

ამონაგები

	2019	2018
საქონლის გაყიდვა	7,337,840	7,057,428
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	49,754	28,475
სულ	7,387,594	7,085,903

შემოწმება

შენიშვნა 12

სხვა შემოსავალი

	2019	2018
უსასყიდლოდ მიღებული შემოსავალი	174,508	302,003
სულ	174,508	302,003

შემოწმება

შენიშვნა 13

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2018	2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(80,188)	(54,444)
სულ	(80,188)	(54,444)

შემოწმება

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული სესხებისთვის ანარიცხები არ აღიარებულა (2019 წელი 0 ლარი).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	76,721	74,327
სულ	76,721	74,327

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 25 მარტს.

შემოწმება

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული
სესხებისთვის ანარიცხები არ აღიარებულა (2019 წელი 0 ლარი).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	76,721	74,327
სულ	76,721	74,327

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 25
მარტს.

